№ 3—1917
შაბათი იანვარი 14

წელ. მეხუთე გამოცემისა

ფასი 15 კ.

ნ ი ნ ო ო ბ ა

წმ. ნინო—მოციქულთა სწორი
(ნახატი ზ. ჩისა)

„მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერათ ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველი დედა,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!“

დეპუტ. **ა. ჩხენკელი** ავადაა.

შინაარსი

1, **მეთაური**—ქართველი ქალის დღეობა.— 2
2, **ს. კაეშნიშვილი**—წმ. ნინო, იდოლე ჩვენთ 3
3, **გ. რუხაძე**—ძველ სატრფოს . . . . . . , . „
ა, **დ. ახვლედიანისა**—ქართველ ქალის მოგალეობა. . . . . „
5, **იასამანი**—ტარას შევჩენკოდან (უკრაინ.) 5
6, **დიმიტრი ი. ყიფიანი**—წრთვნა სულისა, მისი ხელნაწერ. გამოკვ. ნინო ყიფიანის-მიერ „
7, **პეტრე ქურციკაშვილი**—ჯარის კაცი . 6
8, **გუგული**—მეგობრული საუბარი 7,
9, **ი—ელი** ნ. ა. ტარსაიძე 8,
10 **ერმალოზ კახი**—ქალთა საკითხი ჩვენში „
11 **ერთაწმინდელი**—ლანდი 9,
12, **ი—ი**—ომის მსხვერპლი ს. ი. ხომერიკი „
13, **გრ. საქარიქედელი**— მოხუ მწერალი 10
14 **იოს. არიმათიელი** ნაშთი ძველი დიდებისა

იანვრის 8

ქართველი ქალის დღეობა. ნინოობა—ქართველი ქალის დღეობაა!..

წარმართ საქართველოს, წყვდიადში ჩაფლულ ქართველ ერს ისტორიამ თითქმის განგებ მოუვლინა ქალი განმანათლებელი—ახალი ცხოვრების გზაზე გამომყვანი —იმის ნიშნად, რომ დაცემულ ერს მხოლოდ ქალი იხსნის და თუ ოდესმე საქართველო დაემხო, თვითცნობიერება დაჰკარგა, გაორჭოფდა, განიბნა, ისევე ქალმა აღადგინოს, შეადუღაბოს და ახალ ცხოვრებას გზა გაუკვლიოსო!.

და მერე ვინ იყო იგი პირველი ქალი, რომელმაც მთელი ჩვენი ძველი ცხოვრება ძირფესვიანად შესცვალა?— ვინმე დიდებულთაგანი, სრა-პალატებში დაბადებული, ბრწყინვალე გვაროვანთაგანი!?

არა და არა!—

იგი იყო უბრალო ტყვე ქალი, აგებულობითაც სუსტი, ნაზი ქნილება, გარნა მტკიცე ხასიათისა და მაღალი მისწრაფებით აღგზნებული.

ერთმა სუსტმა არსებამ, სასტიკი ომი გამოუცხადა ძველ რწმენას-შეხედულებას, დასცა და შემუსრა მისი გამომხატველი კერპნი და სამაგიეროდ ახალი მცნება განამტკიცა,—

მცნება ძმობის, ერთობის, თანასწორობის და სიყვარულისა!

ერს ჩაუნერგა თვით არსებობის რწმენა!

და მას შემდეგ, თუმცა ქართველმა ერმა ამ მცნების მტკიცე დიცვისთვის ბევრი სიმწარე იგემა, მაინც აგერ თექვსმეტ საუკუნეზე მეტია მას იცავს და, ქრისტიანული განათლება დღემდე მოიტანა.

ნინოს ღვაწლი თუ ესოდენ ძლიერი, დიადი და საჭირო იყო იმ დროს, როდესაც ჩვენ თავის პატრონი ჩვენვე ვიყავით,—ახალი ნინოს—ახალი განმანათლებლისა და ქართველთა გამთვითცნობიერებელი ქალის მოღვაწეობა კიდევ უფრო საჭიროა დღეს...

ჩვენი ეროვნული ცხოვრების თითქმის ყოველი დარგი საჭიროებს ქალის არა თუ დახმარებას, ხშირად მესვეურობასაც, მაგრამ იგი უფრო საჭიროა დარღვეული ოჯახის აღადგენათა და სწავლა-განათლების გასავრცელებლად ..

ჩვენი სოფელი სიბნელეს მოუცავს და მუნ კერპთ თაყვანი მცემელი ფარისეველნი პარპაშებენ,—საჭიროა ახალი ნინო ცრუ-სარწმუნოების გამფანტველი და კერპთ დამამხობელი

ჩვენს ძმთა—ქართველ მუსულმანთა შორის უკვე მასწავლებლობს რამდენიმე თავგამოდებული, ქართველი მასწავლებელი ქალი, გარნა ეს წვეთია ზღვაში!..

ვითარცა ჩვენმა პირველმა განმანათლებულმა დედა—ნინომ მოვლო ჩვენი ქვეყნის მთა-გორიანი უღაბური ადგილები და ყველგან ნათელი შეიტანა, ასევე ჩვნი დროის ქართველმა ქალმა თავი უნდა გადასდოს და დაქსაქსული, ბნელში ჩაფლული ერი სწავლა განათლებისა, მეცნიერებისა და ეროვნული გათვითცნობიერების მცნებას აზიაროს...

და ქართველი ქალიც სწორედ მაშინ გადიხდის ნამდვილ დღესასწაულს—თავისი უბრწყინვალესი წინაპრის, მოციქულთა სწორის წმ. ნინო ქართველთა განმანათლებლის დირსეულ ზეიმს!..

ქართველო ქალო! რა წრესა და წოდებასაც უნდა ეკუთვნოდე, განიმსჭვალე უმაღლესი ხალხოსნური მისწრაფებით და დასძარინული ჩვენის გათოშილ ეროვნუ—ცხოვრებისა!

ნინო
(მწერალი ქალი ნაკაშიძე)

ნინო
(მსახიობი ქალი ნ. დავითაშვილი)

ნინო
(მსახიობი ქალი ნ. ჩხეიძე)

წმიდაო ნინო, ილოცე ჩვენთვის..

შენ ხომ პირისპირ იხილე მიუაჩრდილებელი ნათელი. შენ ხომ თანამოსაყდრე ხარ მფარველის ჩვენის მარიამისა და დღეს, საქართველოს ყველა კუთხეში გიგონებთ შენ. რა უყოთ, რომ ზოგან უცხო ენითაც მოგასმენენ ლოცვას. რა უყოთ რომ შენს დაღლილ ძვლებს ბევრი ჩვენგანი ვერ დააფრქვევს ცრემლებს. რა, რა უყოთ, რომ შენ მაყლოვან ბუჩქს მრავალი გარეწარი აუვლიდა გვერდს, რა უყოთ.. ნესტანის არ იყოს: „რისთვის მობრუნდა ჩვენზედა ბორბალი ცისა შვიდისა“ სამაგიეროდ დღეს სიონის ზარი აქვითინდება მრავალ ქართველთან ერთად... დღეს მრავალი უცხოეთის ცის შემყურე მოგიგონებს შენ... როს ქართველნი ოქროს ჩაფხუტოსან არმაზს უზორვიდნენ, შენ ცად ანაყრდენი შეჰღალადებდი ყოვლად შემძლებელს, რათა მას ემცნო მათთვის ჭეშმარიტება. დღეს მრავალნი უცხოელნიც უზორვიან არა ნაკლებ მრისხანე არმაზს, და ჩვენც მათ მიერ დანთებულ ცეცხლში ჩხიმლებად ვეხმარებით... მაშ, ილოცე ნინო, ილოცე ჩვენთვის!

ს. კაეშნიშვილი

ძველ სატრფოს

ბაღჩაში იდეგ. ბროლის თითებით
ფერად ყვავილთა თაიგულს ჰკრავდი...
მე კი შენს სახელს ცეცხლის რითმებით
გულზე ვიწერდი და ვიქარგავდი.

გიშრის დალალნი, ვით შავი გველი,
ყელზე ორკეცათ შემოგვხვეოდა...
ვნატრობდი: ნეტა ეს ჩემი ხელი
იმ ნაწნავებთან ერთად გხვეოდა.

მაგრამ გატყობდი, ნაზი ღიმილი
მარჯნის ტუჩებზე რომ დაცეკვავდა,—
მაშინ ოცნება შენი, ფრთა შლილი,
სულ სხვას უხმობდა, სულ სხვას ხედავდა!

შენ მეფე იყავ, მე—მონა შენი,
მაგრამ ვერ გრძნობდი გრძნობით დამთვრალი,
და ასე ჩუმად, გულს ანაგზენი,
გვწვავდა ორივეს სხვა და სხვა ალი.

და დღეს, როდესაც ამოშრა სრულად
გრძნობის აუზი—ტრფობის მშობელი,
ნუ თუ არა გაქვს ის სინანულად,
რომ ვერ იცანი შენი მკობელი?

ქართველ ქალის მოვალეობა

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოთ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთაუნერგავდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“!..

ილია ჭავჭავაძე

ჩვენი მგოსანი აკაკი თავის ლექსში ქართველი ქალის პირით ღვთისმშობელს ასე ევედრებს:

„მოეც კურთხევა ზეცით, მადალო,
და კადმოსახე ძდიერათ ჯვარი,
რომ ადადგინო ქართველი დედა,
დღეს დატეშული და ცოცხალ-მკვდარი!“-ო.

არა მგონია, ეს სიტყვები მარტო ქართველი ქალის ანუ ვაჟის დამხასიათებელი იყოს. ეს სიტყვები თანასწორად ეხება საზოგადოთ დღევანდელ ქართველებს—როგორც ქალებს ისე ვაჟებსაც.

ყველასათვის ნათელია, რომ დღეს ქართველი ადამიანი, ქალია ის თუ ვაჟი, თითქმის ყველა

„დატეშული და ცოცხალ-მკვდარია“.

ამ თვალსაჩინო ჭეშმარიტების დასაბუთებას აქ არ შეუდგები,—ჩემი მიზანია—მოკლედ გამოვარკვიო, რა მოვალეობა აძევს დღევანდელ ქართველ ქალს, ვინაიდან ამ საგანს დიდი კავშირი აქვს საზოგადოთ დღევანდელი ქართველების მდგომარეობასთან.

დღევანდელი ქართველი დაცემულია, მას დაუკარგავს სულის მხნეობა, ხასიათის სიმტ-

კიცეს; უცხო სკოლას დაუბამს მისი ენა, მისი გონება—და იგი წარმოადგენს სულთმობრძავ არსებას, რომელსაც თითქო სიცოცხლის პირი არ უჩანსო...

მაგრამ არა! ტყუილად არ ამბობს იგივე ჩვენი მგოსანი:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს —
და ისევ გაიღვიძებსო!“

დღევანდელი ქართველი მხოლოდ დროებითი სენით არის დაავადებული; ეს სენი მეტად საგრძნობელი, მეტად შემაძრწუნებელი და ჩვენი ცხოვრების წინსვლის დამაქვეითებელია, ხოლო არა რა არის უსაშველო: მისი განკურნება კიდევ შესაძლებელია—და უპირველესი როლი მკურნალობის, ჩემის აზრით, ქართველმა ქალმა უნდა იკისროს.

ქართველმა ქალმა!..

მაგრამ დღევანდელ ქართველ ქალს, დღევანდელ ქართველ დედას, ამ „დაცემულსა და ცოცხალ-მკვდარს“ არსებას, განა შეუძლია იკისროს ასეთი დიადი საქმე?!.

აი, საკითხი, რომელზედაც მრავალი უსათუოთ უარყოფით უპასუხებს; მე კი მგონია, ამგვარი უიმედობა ქართველი ქალისადმი საფუძვლიანი არ არის, იმიტომ რომ დღესაც მრავალ ქართველ ქალს შეგნებული აქვს თავისი ნაკლოვანება, თავისი „ცოცხალ-მკვდრობა“ და ცდილობს გამოცოცხლდეს, გაჯანმრთელდეს. ამ გვარი შეგნება კი თავდებია იმისა, რომ ეს გაჯანმრთელება და გამოცოცხლება უსათუოდ შესაფერ ნაყოფს გამოიღებს და ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანას არა ერთი და ორი გათვითცნობიერებული, დროის შესაფერად გონებრივად და ზნეობრივად განვითარებული ქალი ეყოლება.

ამ სახით, სანამ ქართველი ქალი თავის დიად როლს, მომავალი ქართველი თაობის გონიერ აღზრდას, იკისრებდეს,—უპირველესად ყოვლისა ამ როლისათვის უნდა მოემზადოს.

და რა არის საჭირო ამისათვის, რომ ქართველმა ქალმა შესძლოს მომავალი ქართველი თაობის წესიერად აღზრდა?

პირველად ენა, სამშობლო ენა, რომელსაც ამღზრდელი დედა აკვნიანვე უნდა ნერგავდეს ყრმას და ამავე ენით უვითარებდეს აზროვნობისა და მეტყველობის ნიჭს: მშობლიური ალერსი ენით გამოთქმული, არის პირველი წყარო, რომლიდგანაც შემდეგი უნდა ამოჩუხჩუხდეს და ამეტყველდეს ყმაწვილის გრძნობა, ფიქრი, აზროვნება, და თუ ცხოვრების სათავის ეს წმინდა წყარო შეიპილწა, მისგან მომდინარე წყალი, რაც უნდა ეცადოთ, შემდეგ სავსებით ვერ დაიწმინდება.

ქალი ბუნებით ისეა შექმნილი, რომ ქალი—დედა უფრო ახლოა ყმაწვილთან, ვიდრე ვაჟი—მამა, და ამიტომაც პირველ ხანებში ყმაწვილები უმთავრესად დედის გავლენით იწრთვნებიან, ცხოვრების საძირკველი დედაქალის ხელითა და გონებით ისკვნება—და, ვაი, მისი ბრალი, ვისი ცხოვრების საძირკველიც უგულო და უსულო ადამიანის გონებითა და ხელით გასკვნილა!..

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოთ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთაუნერგავდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,—
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“...

აი, სახელმძღვანელო აზრები, რომელიც ქართველი ქალისათვის უანდერძნია დიდებულ მგოსანს!

და, რომ ეს ანდერძი წმინდათ შეასრულონ, პირველად თვით ალმზრდელნი უნდა გაიმსჭვალონ ქრისტეს მცნებით, კაცთმოყვარეობით და ქვეყნისათვის თავდადების გრძნობით...

ჩვენი ერის ცხოვრება რომ დამოუკიდებლად ვითარდებოდეს, ჩვენი ერის წინსვლა რომ უშვერი ძალმომრეობით არ ფერხდებოდეს, იმ შემთხვევაში დედისაგან მხოლოდ საკაცობრიო მისწრაფება მოითხოვებოდა, რომელიც მშვენივრად არის გამოხატული ზევით მოყვანილ ჩვენი მგოსნის სიტყვებში; მაგრამ დღეს ქართველმა დედამ, პაწია ქართველს, საზოგადო კაცობრიულ გრძნობასთან ერთად, უნდა შთაბეროს ეროვნული სული, შეგნება თავისი მშობელი ერის დაჩაგრული მდგომარეობისა, და ჩვენი კულტურული წინსვლის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისა. რაც შეეხება მოქალაქობრივ მოღვაწეობას, ამ ახა-

რეზზე ის ქალები უნდა გამოდიოდენ, რომელნიც ამ სფეროში რაიმე ნიჭიერებას გამოიჩენენ, საზოგადოთ კი არავინ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცხოვრებაში შრომის განაწილებაა საჭირო: ქალის თავიდანვე ოჯახი ხვდომია და ოჯახის ფუძის განმტკიცება მან უნდა იკისროს. აგრედვე ხელი უნდა შეუწყოს ქალ-ვაჟთა თანასწორ ნიად გზე აღზრდასა და განვითარებას, რომელიც დიდმნიშვნელოვანია მომავალ თაობის თავისუფლებისა.

თუ საზოგადოთ დედა ვალდებულია ფხიზლად მოეკიდოს მომავალ თაობას, ყველაზე მეტად ვალდებულია ის დედა, რომელიც ეკუთვნის დაჩაგრულ ერს, რათა აღზარდოს შვილი მოჭირისუფლე მამულისა და საკაცობრიო იდეალების მატარებელი.

დიმიტრი ივ. ყიფიანი (1814-87)

ტარას შევჩენკოდან

(უკრაინუდიდან)

ერთია ჩემთვის, უკრაინაში
თუ სხვაგან სადმე განვაგრძობ ჩემს დღეს,
გავახსენდები ვინმეს, თუ თოვლში
ის უცხოეთში გადამივიწყებს,—
ერთია ჩემთვის ყველაფერი ეს ..

უცხოთა შორის მონად აღვზრდილვარ,—
და ჩემიანთგან დაუტირალი,
მონადვე ჩავალ საფლავს, და ჩემგან
არა დარჩება მცირედიც კვალი—
ჩვენსა მშვენიერს უკრაინაში,
ჩვენს—და არა ჩემს—მშობელ მიწაში.

ვერ მომიგონებს მამა შვილთანა,
ვერ ეტყვის შვილსა: „ილოცე მისთვის,
ილოცე, შვილო, ოდესღაც იმან
სიცოცხლე დასთმო უკრაინისთვის“.

ილოცავ-ნ, არა,—ერთია ყველა!
მაგრამ როს მტერი უკრაინასა
გაქურდავს, არსით ექნება შვილა,—
შემდეგ გადასცემს გამაქრობ ალსა,
ნაშთი დარჩება იმისგან ფერფლის,—
ოჰ, ეგ სულ ერთი არაა ჩემთვის!

ბორი.

წრთვნა სულისა

დიმიტრი ყიფიანისა,
მისი სულნაწერიდან გამოკრებილი
ნინო ყიფიანის მიერ.

შესავალი

დიმიტრი ყიფიანის შესახებ ხშირად გამიგონია:

— რა იყო მიზეზი, რომ ესოდენ ჭკვიანი, ზედმიწევნით მცოდნე ნაკისრი საქმისა და მტკიცედ აღმასრულებელი თვისი მოვალეობისა, სამსახურში ვერ იყო დირსეულად დაფასებული და იმდენად წარჩინებული, როგორადაც ეს მას ეკადრებოდაო.

ამ კითხვის პასუხი სრულიად ცხადი და მარტივი შეიქმნა, ჩემთვის მაინც, როდესაც დიმიტრი ყიფიანის ერთი ნაწარმოები „წრთვნა სულისა“ („школа духа“) წავიკითხე. ეს ნაწარმოები მშვენივრად ახასიათებს მის პიროვნებას, როგორც მთავრობის მოხელისასაც და მასში აქა-იქ გაფანტული ზოგიერთი დიალოგები აშკარად იძლევიან პასუხს ზემოხსენებულ კითხვაზე, რომ სიმართლის ისე მოურიდებლად, ისე მკვახედ პირში მოქმელ კაცს, უეჭველია, მაღლა არ აუშვებდნენ და, რამდენათაც კი შეიძლებოდა, ყოველ დონეს იხმარდნენ, სულაც თავიდან მოეშორებინათ. მხოლოდ მისი იშვიათი ჭკუისა და საქმიანობის მოწყალებით იყო, რომ ბოლოსდა ბოლოს ლენკორლის ხარისხამდე მაინც მიაღწია.

ეს ნაწარმოები თავის დროზე სულ დაიბეჭდება და ეხლა კი მისი პიროვნების გასაშუქებლად ზოგიერთს მის დამახასიათებელ დიალოგებს ამოვკრებთ დაინტერესებული მკითხველისათვის.

I

როდესაც დიმიტრი ყიფიანი მთავარ-მართებლის კანცელარიაში მსახურობდა და განყოფილების უფროსად იყო, სამოქალაქო მართველობის უფროსად ყოფილა ვინმე გურკო, იოსებ ალექსანდრეს ძე. ერთ შემთხვევას, როდესაც მას თურმე მოხსენებას უკითხავდა, დიმიტრი ყიფიანი ამნაირად გადმოგვცემს:

„მართველობის საქმეებისა გურკოს სრულებით არა გაეგებოდ რა. მაგრამ პატივისმოყვარულობა კი დიდი ჰქონდა და რასაც მეტად ცდილობდა ამ უცოდინარობის დაფარვას, მით უფრო ცხადი ხდებოდა ეს მომხსენებლებთან იმის უთავბოლო შეკამათებაში. ამით მათ ბევრს დროს აკარგვინებდა და საქმეების შეფერხება ახსნა-განმარტების დროს ხანდახან უკმეხობას იწვევდა. ეს კი იქამდინ მიდიოდა, რომ ჩვენს გურკოს დიდრაჯობა და ეგრედწოდებული თავშიაღება ემატებოდა.

— თქვენ აასრულეთ ჩემი უმაღლესი ბრძანება (повелѣніе)? — შემომეკითხა ერთხელ მოხსენების დროს.

— ნებას მივცემ ჩემს თავს თქვენთვისვე გირჩიოთ, რომ...

— როგორ მიბედავთ მე რჩევის მოცემას?

— მაშ მოგახსენებთ უბრალოთ, რომ თქვენ ყოველ გვარად ერიდოთ სიტყვა უმაღლეს ბრძანების ხმარებასა.

— რადაო?

— იმად, რომ უმაღ. ბრძანებას იძლევა მხოლოდ ხელმწიფე იმპერატორი და არავინ სხვა!

გურკო მთლად გაშტერდა.

— ჰო! მე უნდა მეთქვა — ჩემი ბრძანებაშეთქი.

— ბრძანება შეგიძლიანთ მხოლოდ თქვენი დენსჩიკებისა და ლაქიების; ჩვენ კი ხელმწიფის მოხელენი ვართ!

— მაშ, როგორ? რანაირადღა უნდა ვსთქვა ხოლმე ამის შემდეგ?

— შეგიძლიანთ დაგვავალოთ; შეგიძლიანთ გვთხოვოთ, იცით რა კარგად, რომ თხოვნას ყველა ჩვენგანი ბრძანებად მიიღებს. სამოქალაქო სამსახურში მიღებული არ არის მკვახე ლაპარაკი. ჩვენ ხომ, ბევრად თუ ნაკლებად, განათლებული ხალხი ვართ და განათლება, როგორც ეს თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, ყველას გვათანასწორებს.

ამ ჩემმა საქციელმა ისეთი დამაწყნარებელი შთაბეჭდილება იქონია გურკოზე, რომ შემეცოდა კიდევაც.

მაგრამ ეს იმას, რასაკვირველია, ვერ გარდაჰქმნიდა.“

ჯარის ვაცი

(ჯარისკაცის პეტრე ქურციკაშვილის მოწერილი ლექსი, გედ. გელოვანის-მიერ გადმოცემული.)

ოხერო წუთის სოფელო
ზარავანდივით მწარეო,
სად გადაჰკარგავ ვაჟკაცსა,
საით სადამდე ავლეო.
ვამე რა ძნელი ყოფილხარ
ოხერ სხვა და სხვის მხარეო;
სხვა მხარეს ქართველთ შვილებსა
გვტანჯავენ დღე და ღამეო.
ბევრ ლომის მზგავსი მოგვიკლეს,
ღმერთო შენ, ჩაიბარეო;
დაგვაკლდა ქართველთ შვილები,
ჩვენ დავრჩით მგლოვიარეო.
ბევრი ვართ დაღონებული,
თვალებს გახერებთ მთვარეო,
ან აქით ამბავ წაიღე,
ან იქით მოგვიტანეო,
რას შვრება ჩვენი ცოლშვილი,
რას ფიქრობს დღე და ღამეო,
ღმერთო აკმარე მათაცა
რაც ცრემლი ღვარეს მწარეო;
და ჩვენ ვინცალა დამრჩალვართ,
ღმერთო შენ მოგვეხმარეო;
დაგვიხსენ სიკვდილისაგან,
შინ ცოცხლად წაგვიყვანეო,
გვაჩვენე ჩვენი სამშობლო
და იქ დღე გაგვითავეო, —
თქვენც ახალ ამბავ გვაცნობეთ,
პეტრემ ეს დაგიბარეო.

პეტრე ქურციკაშვილი

მეგობრული საუბარი

— თქვენ წადით სახლში! მეკი ვახშმისათვის საჭმელს ვიყიდი და ახლავე მოვალ— უთხრა გიორგიმ თვის მეგობრებს შალვას და გარსევანს და შეუხვია დუქანში. შალვა და გარსევანი სახლში მოვიდნენ, აირთეს სანათი და შემოუსხდენ მაგიდას გიორგის მოლდინში.

— გარსევან, კარგი ოთახი გიქირავნიათ შენ და გიორგის.

— ჰა, არა უშავს-რა!

— რა ვქნა, სად ჯანდაბაში წავიდა გიორგი? რატომ არ მოდის?

— მოვა, კაცო! რა გეჩქარებს? ეს ღვინო ხომ აქედან არსად გაგვექცევა!

ფარდა ჩამოფარებულ ფანჯარაში დაარახუნეს

ვინ არის?

— კვლავ მოისმა რახუნი.

— გიორგი, ხომ ვიცით, შენა ხარ! რას მაცხრობ? შემოდი...

— შემოდი კაცო!

კვლავ დაარახუნეს.

— ახლა მე რომ ეს სრული თხზულება პუშკინისა ავიღო და ფანჯარას ვსტყორცნო, რა გგონია, გაამტვრევს ფანჯარას, მოხვდება გიორგის და გაუტეხავს მას თავს თუ არა?

— ვერა! გიორგის თავი ქვასავით მაგარია. მუხის ფიცრებს იმტვრევს თავზე!

— ამფერ, ჩემო გიორგი! ფუტურისტი ხარ რაღა!

უფრო ენერგიული რახუნი მოისმა.

— ამბობენ, ვინც მარტოარახუნებს და კი არაფერს ლაპარაკობს, იმას მუნჯს უწოდებენო.

— ეხლა გაიგე, რომ გიორგი მუნჯია? რაც ის გუშინ საღამოს თვის „ოლ-ოლ-მა“ ლანძღა, განა მეტყველი პასუხს არ გასცემდა?

— იქნება ყრუც არის

— შესაძლოა.

ფანჯარაზე კვლავ დაარახუნეს.

— აი, რაში გამოიხატება მოუხეშაობა და უგრძნობლობა ადამიანისა. აქნობამდი მე თითები ხუთჯერ დამემტვრეოდა, ის ახმახი-კი, ის აქლემი, ურახუნებს და უარხუნებს? ვითომც აქ არაფერია!

— დათვია

— ამბობენ: ვირიც არისო!

— რას ჰყვირი კაცო: მთელი ჯორ-ცხენაა!

კვლავ რახუნი მოისმა' მხოლო ახლა კარებზე,

— ვერ აიტანა ფანჯარამ რაკუნი ახმახმახისაო

და გაუგზავნა კარებსა: „გიგზავნი კუდავირსაო“

წარმოსთქვა ექსპრომტად შალვამ.

— მგოსანი, ხარ ჩემო შალვა.

— ვაცხადებ უკანასკნელად, ოფიციალურად, რომ ის ვაჟბატონი, რომელიც კარების უკანა დგას და ურახაუნებს, თუ ემ წუთში არ შემოაღებს კარს' და არ დაალაგებს ვახშამისათვის ნაყიდ საჭმელებს, დავკეტავ კარებს და ამ ცივ-ღამეს კიბეზე გავათენებინებ

— ჩინებული გადაწყვეტილებაა'

— შემოდი კოლლეგა.

— კვლავ გაისმა რახუნი.

მოთმინებიდან გამოსული გარსევანი წამოხტა ზეზე, გაღო კარა და გავარდა გარედ რადა ჭკუა ესწავლებინა გიორგისათვის ბავშური მასხრობის გამო.

ეზოს ლიფლიფის შუქზე მან დაინახა ვიღაც უცნობი კარგად გამოწყობილი კაცი, რომელმაც ჰკითხა მას:

— უკაცრავად... შეგაწუხეთ! თქვენ გეცოდინებათ: რომელ სართულში სცხოვრობს გერონტი ქორია?

გარსევანი ელდა-ნაცემივით შემოვარდა ოთახში, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ყველა იმ ეპიტეტმა, რომელიც კი ოთხში სწარმოითქვა, უცნობის ყურამდე უცვლელად მიაღწია...

გუგული

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე
(1855—1917)

იანვრის 10 განჯაში გარდაიცვალა ნიკ. ალ. ტარსაიძე, ძმა ცნობილ თვალის ექიმ გიგო ტარსაიძისა.

ნ. ა. დაიბ. 1855 წ. დეკემბრისთვის 10. თბ. გიმნაზიაში სწავლის შესრულების შემდეგ, ხარკოვის უნივერსიტეტში დაამთავრა უმაღლესი განათლება სასჯულმეტყველო ნაწილზე და 1879 1891 წლამდის რუსეთში მსახურებდა გამომძიებლად. 1891 წ. თბილისში გადმოიყვანეს ბრალმდებლის თანაშემწედ, 1901 წ. დაინიშნა საოლქო სასამართლოს წევრად, სად სიკვდილამდე მსახურებდა.

იყო მიუდგომელი, ღმობიერი, სამართლიანი, თვისი სიტყვის კაცი. მან პირველმა შემოიღო სასამართლოში, სადაც საჭირო იყო, საქმის ქართულ ენაზე წარმოება. მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართველ საზოგადოებაშიც—ერთხანად ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგად იყო (ხშირად თავმჯდომარეობდა კიდეც), კლუბის მამასახლისადაც, მაგრამ თავი გაანება. ბოლოს ადგენდა წესდებას დიდი ქართული გუნდის შესადგენად, რომელსაც, სხვათა შორის, ყველა ეკლესიაში უნდა ეგალობნა. მაგრამ სიკვდილმა აღარ აცალა თავისი მიზნის განხორციელება. საზოგადოთ ქართულ საქმეთა გულშემატკივარი იყო დაკრძალეს წმ. ნინოს სასაფლაოზე იანვრის 13.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი! ი—ელი

ქალთა საკითხი ჩვენში

(მცირე შენიშვნა)

„ქართლის დედაო!...
...ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი;
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს"..
ილია ჭავჭავაძე.

საყოველთაოდ ცნობილია თუ ქალს საზოგადოდ, და კერძოდ ჩვენთვის, როგორც დამონებულ ერისათვის, რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენში ძალიან ნაკლებ აქცევენ ამას სათანადო ყურადღებას; დღემდის ვერ მოუხერხებიათ ჩვენს მოწინავე მანდილოსნებს გამოსცენ თავიანთი საკუთარი პერიოდული ორგანო (თუნდაც წელიწადში ერთხელ მაინც!), რომ მათი (ქალთა) მოქმედება—სხვადასხვა წრის, თუ პროვინციის, გაერთიანებულიყო და მწყობრად, ძალუმად დასდგომოდა წინსვლის და წარმოების გზას.

ერთ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყანა შეპყრობილია საშინელი სენით, რომელსაც გადაგვარება-გადაშენება ეწოდება და რომელმაც არა ერთი და ორი თაობა იმსხვერპლა ამ ხნის განმავლობაში; ბოლოს ხომ იგი მთელ ჩვენს ქვეყანას უქადის აღგვას დედამიწის პირისაგან!!

მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს მოგვეცა საშუალება ჩვენს ნებაზე მოვაწყოთ სწავლა-განათლება და ჩვენც თითქოს (დიაღ, მხოლოდ თითქოს) ვსარგებლობთ ამით: მოგეხსენებათ, წარსულ წელს ჩვენში დაარსდა ფრიად საჭირო ორი დედათა სასწავლებელი; პირველი ქ. თბილისში „განათლების" სემინარია და მეორე—ქ. ქუთაისში „სინათლის" სკოლა.

პირველ სასწავლებლის შესახებ უნდა გამოვტყდეთ, რომ თუმცა იგი დიდი ამბით და ზეიმით გახსნეს, მაგრამ მას ბევრი ისეთი რამ აკლია, რაც ადვილად ასაცილებელია; მაგალითად დღემდის ამ „განათლების" სასწავლებელთან არ არსებობს მშობელთა წრე, რაც დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს.

აგრეთვე არ არის მოწყობილი ღარიბ მოწაფე ქალი-შვილებისათვის სადილი, ანუ საუზმე, როგორც თბ. ქართულ ქალთა გიმნა-

ლანდი

ვინმე ეული, უთვისტომო, მწირი, ობოლი,
ვით ლანდი მარტო, სევდიანი ნისლის ფრთით მსრბოლი—
დავალ ყარიბი, გარიყული ყოველ მხარეზე
და ვსტირი ჩუმად, ვგოდებ ქვეყნის სიმწუხარეზე,..
ტრფობის კოცონზე ვწვავ ჩემ გულსა—წმიდა სამსხვერპლოს,
და ნანგრევებზე სიყვარულის ვქმნი სამლოცველოს.
და ვეძებ, ვიხმობ კაცთა-შორის ადამიანებს,
რომელთა ახლო სული კრული მყის—მოისვენებს,
მსოფლიოს ვარმით დატვირთული, ტლუ უსავანო,
ცხოვრების ვსლზე შთენილი ვარ მე უთაყვანო...

ს. ერთაწმინდელი



ქართველი მეჭმადიანი
გულო-ალა კაიკაციშვილი

ზიაშია. მერე არ იკითხავთ, თუ ვისი შვილები სწავლობენ ამ სასწავლებელში?—ჩვენი საზოგადოების უღარიბესი ნაწილისა.

საკვირველია, ღმერთმანი, ჩვენი მანდილოსნების საქმე: ქართულ ვაჟთა გიმნაზიაში მათ ითავეს და მოაწყეს მოწაფეთა გამოკვება და ნეტავ რა დააშავეს „განათლების“ მოწაფე ქალებმა? ნუ თუ ჩვენი მოწაფე-მანდილოსნებისათვის უფრო ახლოს არ უნდა იყოს ეს ერთად-ერთი დედათა სასწავლებელი!?

ერმალოზ კახი

მსახიობი ვასო არაბიძე
ბაქოს სამსატვრო-სალიტერატურო წრის რეჟისორი, იანვრის 22 ბენეფისი აქვს

ობის მსხვერპლი

პრაპორჩიკი
სოლ. ი. ხომერიკი
ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ უოფილი ასოთამწყობი

სამწუხარო ამბავი მოგვივიდა შორეულ ბრძოლის ველიდან: მოუკლავთ პრაპორჩიკი სოლომონ ილარიონის-ძე ხომერიკი, ჩვენი ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ ასოთამწყობი.

სოლომონ გურული იყო სოფ. ლეხურელი, ღარიბი გლეხის შვილი. სოფლის ორკლასიან სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ თბილისს „გერმესის“ სტამბაში შევიდა, სადაც ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდებოდა. ცოდნის წყურვილით გატაცებული სოლომანი მხოლოდ ჟურნალის აწყობის შესწავლას შეუდგა, საუკეთესოდ შეისწავლა ხელობა და ხალე მთელი ჟურნალის აწყობა-შეკვრა თეითონ იკისრა. იყო შეგნებული და გამჭრი. მუშა, თვითგანვითარებას მისდევდა, სამომავლოდ ემზადებოდა და ბოლო ხანებში რამდენიმე სცენაც დასწერა სოფლის ცხოვრებიდან. ომი რო დაიწყო, მიხვდა მალე ჯარისკაცად გამიწვევენო, თვისით ღამდამე მეცადინეობიო მოემზადა, პრაპორჩიკთა სკოლაში შევიდა, 1915 წ. სწავლა დაამთავრა და სამსახურშიც გამწესდა, სადაც მალე თავი გამოიჩინა, როგორც მუყაითმა სარდალმა და თანამოსამსხურეთა მოყვარულმა. გასულ წლის გიორგობისთვის 24 კარპატებისკენ გაიწვიეს ბრძოლის ველზე, ხოლო ამავე თვის 27 საღამოთი მოკლეს. (ფანქარით დაწყებულ-დაუმთავრებელი წერილი უპოვეს უბეში). ბედკრულს ვეღარ ეღირსა თავის საყვარელ სამშობლოსა და საქმეს დაბრუნებოდა.

დაუვიწყარი იქნება ხსოვნა შენი, ი—ი

მოსემწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან

ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული **გრ. საქარიქედელის მიერ**

გაგრძელება, იხ. 1916 წ. „თ. და ც," 2)

მოქმედება მესამე

(სცენა პირველი მოქმედებისა. მწერალი სდგას მაგიდის ახლო, ხელში უჭირავს ქაღალდი, მოწყენილობა ეტყობა, მოშორებით სდგას კანცელარიის მსახური)

მწერალი და მსახური

მწერ. გლახა დღეში ჩავარდი, ამაზე იტყვიან რომ ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანსო. ასეთი საქმეები გამიკეთებია! შარშან უფრო ყალბი მოწმობებით გადავარჩინე სასალდათოები: ეხლა კი, გლახათ არის საქე...„ვოენნი სლედოვატელის" ეკსტრენი მოწერილობა, (ქადაგდში იტქერება) საქმის გამოსაძიებლად მოდის, მწერს უნათლოშვილები ათანასე, მღვდელი დაიბარეო, მამასახლისი და კეთილ-სინდისიერიც არსად წავიდესო. უსათუოდ ოქრუას საქმის შესახებ მოდის. ვინმე „უდანოსებდა" უნათლოშვილის ბიჭსა (გაიგდ-გამოიგდის ჩქარა.) (მსახურს) ბიჭო, იყავი უნათლოშვილებისას?

მსახ. გახლდით, ბატონო, ძალიან შეშინდნენ, ელდა ეცათ.. მითხრეს ეხლავე ჩამოალთო. (გვერდზე) ამ ჩვენ მწერალს რაღაც ფარსაგი დამართვია. აი ღმერთს თუ ეკითხოს ძველი და ახალი ცოდვა.

მწერ. წადი ბიჭო, კიდევ და მალე ჩაიყვანე უნათლოშვილები (სასთს დასტქერის) საცაა მოვა „სლედოვატელი". მღვდელსაც შეტყობინე, მობძანდეს. უთხარი საჩქაროდ გიბარებენთქო. (მსახური გადის)

(პაუზა) გასაწყვეტი ხალხია ეს გლეხკაცობა. არავითარი სიიდუმლოების შენახვა არ შეუძლიათ. ყველაფერი უნდა წამოიყროყინონ ამ საქმის შესახებ უსათუოდ უნათლოშვილის ბიჭებმა სთქვეს სადმე... საქმე მთავრობის ყურამდინ მივიდა... სასტიკი გამოძიება იქნება... თავის თავი დაღუპეს, მე რას დამაკლებენ. ქაღალდი არ დამიწერია არც შემიმოწმებია მღვდელმა და მამასახლისმა შეამოწმა და ამათ აგონ პასუხი. კიდევაც რომ დაეწერა მაინც ადვილად გამოვიძვრენდი თავს... ჩემ კატოს ახალი „სლედოვატელიც" ძალიანა წყალობს (შემოდის ბაბალე, ხოფონა და ოქრუა,) მწერალი კარებს ჩაკეტავს, ფანჯრისკენ იხედება ეურს ხომ არავინ მიგდებსო.)

II

იგივე და **ბაბალე**

ბაბ. (შეშინებული) ბატონო, გულ-გახეთქილები წამოვედით. ძალიან შეგვეშინდა. „სტოროჟმა" გვითხრა: მწერალი საჩქაროთ გიბარებთო. მიბძანეთ მალე, რა უბედურებაა ჩვენ თავს? გვითხარი გაგვაგებინეთ.

მწერ. იცით რა, დღეს „ვოენი სლედოვატელი" მობძანდება საქმის გამოსაძიებლად.

სოფ. რა საქმისა, ბატონო?

მწერ. რა საქმისა და ენაზე რომ არაფერი დაგადგებათ. ოქრუას საქმიზა მოდის „დანოსი" შეუტანიათ.

ბაბ. (ეუვირებს) უი, შვილებო, დამიდგეს თვალები. ვაიმე ჩემო დაღუპულო ოჯახო ღაგლუპეთ შვილებო, დაგლუპეთ...

მწერ. ყვირილით არაფერი გაკეთდება. საშიში არაფერია. „სლედოვატელი" გკითხავთ ვინ მოგცათ მოწმობებიო, მღვდელმა თქო უპასუხეთ ვინ შეადგინათქო თუ გკითხოს მღვდელმა შეადგინა და მე გადამაწერინათქო. ასე უთხარი შენ, სოფონა, გესმის?

სოფ. მესმის ბატონო, მაგრამ, გერი ხარო რომ მკიითხოს რა ვუთხრა.

მწერ. (ჩაფიქრდება) უთხარი ეგრე არის გერი ვარ-თქო. ამას მღვდლის მოწმობაც ამტკიცებს-თქო.

სოფ. კარგი ბატონო, ეგრე მოვახსენებ,

ოქრ. ბატონო, „ხომ გაგიგონიათ „რუსი ურმით გდევსო". რუსის მთავრობის მოტყუება ძნელია კიდე გვითხარი, დაგვარ-გეთ რა უთხრათ.

მწერ. როგორც გითხარით ისეე, მეტის თქმა არ არის საჭირო.

ბაბ. ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, ისეთი კარგი სიზმარი ვნახე, რომ ფიქრი არ არის. წუხელი, ვითომ ჩვენი გაყიდული ხა-

რები მოსულიყვნენ შინ და მარილს ვაჭმევდი პირუტყვი რომ ასე კარგად დაგესიზმრება— კაცის მშვიდობა იცის.

მწერ. თქვენ ეხლა გადით გარედ, როცა დაგიძახოთ მაშინ შემოდით. მალე „სლედო-ვატელიც“ მოვა,

ბაბ. კი ბატონო გიახლებით. შენ იცი და შენმა ღმერთმა, შენ შეგიძლიან ჩვენი დაღუპვაც და გადარჩენაც.

მწერ. (ცივად) ხო კარგი, წადით გარეთ, ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის.

სოფ. ლაპარაკი კი არა ბატონო, მე ძალიან ჯავრში ჩამაგდო ამ საქმემ.

მწერ. კარგი გადით (მწყრალად. ბაბალე, სოფონა და ოქრუა გადიან),

მწერ. (კარებიდან უძახის) ბიჭო, მამასახლისს და კეთილსინდისიერს დაუძახე შემოვიდნენ.

III

მოდიან **მამასახლისი** და **კეთილსინდისიერი.**

მამასახ. მოსე, დღეს მართლა ოქრუა უნათლოშვილის ბიჭის საქმიზა მობძანდება „სლედოვატელი“?

მწერ. შენ ვინ გითხრა?

მამასახ. მე კი არა, მთელმა სოფელმა იცის, რომ ბაგრატ ქენქაძეს შეუტანია არძაო მამასახლისმა და მწერალმა გადაარჩინა სალდათობიდგან უნათლოშვილის ბიჭიო. იმათ გაუკეთეს ყალბი მოწმობებიო ხალხში ლაპარაკობენ, მწერალი და მამასახლისი ორივე დეიღუპებაო. ორივე ვირის აბანოს ნახავენო. ხალხს ძალიან უხარია.

მწერ. უხარიათ? უხარიათ? მე ვაჩვენებ მათ როგორც უნდა სიხარული.

კეთილსინდ. ჩვენ არაფერ ხლაფორთში“ გაგვაბა ბატონო.

მამასახ. ჩვენ შენზე ვართ მინდობილი, შენი იმედი გვაქვს.

მწერ. თქვენ ნუ გეშინიანთ. როცა „სლედოვატელმა“ გკითხოთ მოწმების შესახებ, ასე უთხარით: ქაღალდები ათანასე მღვდელმა შეადგინა სიტყვიერად და მერე სოფონას დააწერინათქო. მოსე მწერალი სულაც არ ყოფილა ამ დროს ჩვენთან და არც რამე გაუგია ამ საქმისა-თქო. ჩვენ მღვდლის ბეჭედი რომ დავინახეთ დასმული ქაღალდზე ჩვენი ბეჭედიც იმიტომ დავასვითქო. გაიგეთ? მასთე უთხარით და თქვენ არაფერი გიშავთ. ეხლა მამასახლისო, წადი ვისმე სადილი დაამზადებინე ხომ იცი „სლედოვატელს“ უსადილოთ ვერ გოუშვებთ.

მამასახ. ვის უთხრა სადილის დამზადება. ხალხი ძალიან აშხედრებულია ჩვენს წინააღმდეგ. გაგვატყავა მწერალმა და მამასახლისმაო, იძახიან. დღეს „ვოენი სლედოვატელთან“ უნდა ვუჩივლოთო.

მწერ. მიჩივლონ, მიჩივლონ, ბევრჯერ მიჩივლეს მაგრამ ვერაფერი დამაკლესრა. შენ წადი და როგორც გითხარი ისე მოიქეცი.

კეთილსინდ. მე მგონი დღეს სადილი უნათლოშვილებმა უნდა მიართვან „სლედოვატელს“, იმათ საქმისთვის მოდის.

მწერ. წადი, მალე დააჩქარეთ. (გადიან, მამასახლისი და კეთილსინდისიერი).

მწერ. (გაივლ-გამოივლის ჩაფიქრებული) ვაი თუ ჩემი დარიგება დაავიწყდეთ, ან და ერთმანეთში პირი შეკრან ჩემ წინააღმდეგმაგრამ არა ვერ გაბედავენ. კიდეც რომ გაბედონ მაინც ვერაფერს გახდებიან. (შემოდის მსახური)

მსახ. ბატონო, ვგონებ მობძანდება ჩვენე უფროსი.

მწერ. ვინ უფროსი ბიჭო..

მსახ. ქე რომ ელოდით, ბატონო, დღეს რომ უნდა მობძანდეს.

მწერ. „სლედოვატელი“ ბიჭო?

მსახ. რა ვიცი ბატონო, რა ჰქვიან. ჩინოვნიკი კი არის, „აპელატები“ აქვს. დიდი კაცი უნდა იყოს.

მწერ. წადი მიეგებე, ცხენი ჩამოართვი, ის იქნება. (მწერალი მაგიდაზე ქაღალდებს ალაგებს, ფაცურობს, აქეთ-იქით იხედება დაბნეულად. შემოდის გამომძიებელი ორი ჩაფრით)

IV

იგივე **გამომძიებელი. ორი ჩაფრი**

გამომძ. Здраствуй, Мойсей Ивановичъ (ხელს ართმევს) რა ამბავია თქვენ კანცელარიაში? (პორტფელს მაგიდაზე დებს). ყველა გყავს დაბარებული?

მწერ. კი ბატონო, ყველანი არიან მხოლოდ ჯერ მღვდელი არ მოსულა, ისიც მოვა (პაუზა).

გამომძ. ეკატერინა პავლოვნა შინ ბრძანდება?

მწერ შინ გახლავს. ხომ არ მიბძანებთ დავუძახო.

გამომძ არა, Нѣтъ! დღეს ბევრი საქმე მაქვს. თანაც ვემდური ეკატერინა პავლოვნას. გუშინდამ ძალიან ადრე მიგვატოვა.

მწერ. (სიცილით) რასა ბძანებთ, ბატონო, ნაშუალამევის სამი საათი იყო რომ მოვიდა.

გამომძ Нѣтъ, мы еще долго сидѣли..,

მწერ უსადილო ხომ მაინც ვერ წაბძანდებით. მოითმინეთ კატოც გეახლებათ.

გამომძ. Нѣтъ, сегодня некогда, ბევრი საქმეები მაქვს (მაგიდასთან მიეგა და ქალალდების ამოიდების ბორტოფლიდან. შემოდის ორი გლეხი. **გრ. საქარიქველელი**

(გაგრძელება იქნება.)

ნაშთი ძველის დიდებისა

ძველი ქართული საეკლესიო ფრესკების გამოფენა

ნაშთი ძველის დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც კიდე!..
აკაკი

უოგელი ქართველის სალმაყო დღე იყო გასული კვირა—იანვრის 8.

ამ დღეს თბილისის „დიდების ტაძარში“ ვნახეთ ჩვენი დიდებული წარსულის ხელოვნების ნაშთები,—ქართ. სალეთ.-სალისტორიო და ქართველ ხელოვანთა საზოგადოებათა-მიერ გამოფენილი.

რავდენია ისეთი სვებედნიერი ქართველი რომ უცხო ქვეყნების მუზეუმები დაუვლია. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რომის... ამისათვის არ დაუზოგავს დრო და ფული, ხოლო ჩვენი ბატარა სამშობლოს ეკლესია—მონასტრები რომ თვით მუზეუმს წარმოადგენენ, ეს თითქო ვერ შეუმჩნევია!.. ევროპიელად განსწავლული ქართველის აზრი და ფიქრი ვერ იქმნა და ვერ მიიზიდა სამშობლო ხელოვნების ნაშთების სალაგმა, სამაგიეროდ თვით ეს ნაშთები, ერთად შეკრებილი (ჯერ ხნობით ნაწილი), მზა-მზარეულად წარმოუდგა თავისი ქვეყნის შესწავლაში უძრავ ქართველს...

გვიჩვენეს ძველი დიდებული საქართველოს ნაშთები გვიჩვენეს ჩვენი წარსული თვითშემოქმედება, საკუთარი სული, საკუთარი სახე..

აქ გამოფენილია საქართველოს ძველ ეკლესია-მონასტრებში დაცული, ნახევრად წაბდადულ-გადარეცხილი ნახატ-სურათების ასლნი. ეს სურათები გვიჩვენებს მხატვრობის ხელოვნებას, ძველი დროის ქართველ ჩაცმა-ტანისამოსის მრავალფეროვნობას, სახეთა სხვა და სხვაობას და სხ. გადადებულია უძველესი ტაძრები, რომელთ ბუქურთმები და მოუვანილობა თვალსა გეჭრით: აქვეა ძველის ძველი საუცხოო ხელნაწერების ბირველ კაბადონთა ფოტოგრავიული სურათები და სხ.

ეს ფრესკები გადმოდებულია უძველეს დროის ნახატებიდან. სხვათა შორის ერის ფრესკა, ვახტანგ გორგასალი რომ ბეტრე კათალიკოსს (მე-5-ე საუკ.) საკათალიკოსო მიტრას აძლევს... უძველესი ფრესკა 853 წლისაა.

უოველი ფრესკა გადადებულია დიდის სიფრთხილით, ფერების მტკიცე დაცვით, თვით ულბ ნაჯდანებებითაც-კი (ერთ ფრესკაზე—ჩვენი დროის ველურისაგან რუსული ნაჯდანიც-კი).

ფრესკები გადმოუდიათ უმთავრესად ახალკაზდა მხატვრებს (ანბანთა რიგზე): დ. გუდიაშვილს, გ. ერისთავს, ირ. თოიძეს, დ. კაკაბაძეს, დ. შეკვარდნაძეს მ. ჭიაურელს, გ. ხმალაძეს. რავდენიმე ფრესკა ნამუშევარია, ცნობილ მხატვრის მ. თოიძისა, ნორვეგიელ მხატვრის ქრ. კრონის, გრინევსკისა, ქიუნის. დახმარება ადმოუჩენია მუსაევსაც.

ნახატები წარმოადგენს სადმრთო წერილის შინაარსის სურათებს, საქართველოს წმინდანებს, მეფე დიდებულთ, მთავართ, სხვა და სხვა წოდების კაცთ და სხ.

ნიჭიერი მხატვარ-მოქანდაკე თუ ხელოვანი მდიდარ წყარონ ნახავს ამ წაბდადულ ნახატებში.

ჩვენი ისტორიკოსი თ. ჟორდანია ტეუიადკი არ შედადებდა უველას, ჩქარა უპატრონეთ და გადმოიდეთ, რაც ძველ მონასტრებში ნახატებია დაცული, თუ გსურთ ძველებური ქართული იერი, ტანისამოსი, ჩაცმა-მორთულობა შეისწავლოთ და სამშობლო ხელოვნების ადეკვატურ ბაზა ჩუაროთ.

დიდაც, ჩვენი ხელოვნების გაფურჩქვნა მხოლოდ ჩვენი წარსულის ნაშთების შესწავლა-ადგენაზე უნდა დაფუძნდეს..

აქ ბევრი რამაა გამოთვენილი, ხოლო ეთ-ვალიეგ ეს ფრიად მცირე ნაწილია ამ ნაშთებისა, რომლებიც ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის ეკლესია მონასტრებშია და თანდათან ჭქრება ფეოდურ „განმანათლებელთა“ ხელით ანუ წვიმა-ქარით.

ჩქარა უნდა ბატრონობა, რომ სამუდამოდ არ გაჭქრეს...

და სწორედ ამას ავალებდა როგორც სეერთოდ ქართველ სასოგადოებას, ისე კერძოდ ქართ. თავ.-აზნაურობას ქართ. საეთნოგრ.-საისტორიო საზ-ის თავმჯდომარე ექვ. სვ. თაყაიშვილი რომელმაც გამოთვენის გადებისას, ივნვრის 8 ეტად საუურადღებო ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. ბატონეტემულმა ისტორიკოს-დექტორმა სასოგადოებას გ-ანცხო, ჩვენი ძველი ფრესკების გადმოდებას რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის წარსულის შესწავლისა და მეცნიერებისათვის. ამ ფრესკების გადმოდება — შესწავლით საქართველოს ს ძველთა შესახებ ბევრი უცნობი შეჩენულება შეიტვლება, ჩვენი წარსულის შესწავლას საოეული მოეფინება და საქართველოს განახლებას მტკიცე საძირკველი ჩაეყრება...

დიდი და განუზომელია დავალი ამ ორი (საისტორიო-საეთნოგრაფეო და ქართველ ხელოვანთა) საზ-ისა, ეოველი ქართველის წმინდა მოვალეობაა, ამ საზოგადოებით ეოველ მხრივი დახმარება ადმოუჩინოს რომ მათ ეფრო ადვილად შეიძლონ და დროით გადმოიდონ ფრესკები, რათა ნაშთი ძველის დიდებისა სრულიად არ გაჭქრეს!..

ჩვენი უგულითადესი სალამი და მადლობა სამშობლო სელოვნებისა და ისტორიის ამ მხნე მუშაკთ!..

იოსებ არიმათიელი

წერილები ძეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

იძულებული ვარ პასუხი გავცე ბატ. „ვინმე ქართველ მაჰმადიანს“ რომელმაც 1916 წლის „სახალხო ფურცლის“ მე 783 ნომერში მოათავსა წერილი „თეატრისა და ცხოვრების“ იმავე წლის მე 48 ნომერში დაბეჭდილ ჩემ-ი წერილის გამო. დედა აზრი ჩემი წერილისა ა ეთი იყო: ქართველმა მუსულმანმა სჯული, **ლოცვებს გარდა**, ქართულად უნდა ისწავლოს; **ხოჯამ** ქართული ენის მცოდნე უნდა იყოს და უქადაგოს მრევლს ქართულ ენაზე და არა ოსმალურზე, როგორც ეს სჩვეულებათ დღევანდელ ხოჯების უმეტესობას. ხოჯა უნდა იყოს ამ სახით ქართულ ენის გამავრცელებელი და არა მისი მტერი. მეჩეთში უნდა გაისმოდეს ქადაგება ქართულადვე.“

ამ ამონაწერ-ადგილში ხაზ გასმულია ლოცვების არაბულ ენაზე შესწავლა და, რასაკვირველია, კურანის არაბულზე კითხვა... დანამდვილებით ეიცით, რომ ქართველ მუსულმანებში კურანის წამკითხველი არაბულად ძლიერ მცირე რიცხვია. დარჩა ლოცვების შესწავლა. ისეთ პოეტურ და მაღალ მუსიკალურ ენით შედგენილია არაბული ლოცვები, რომ ამ ენის უვიცსაც კი მოეწონება, როცა მათ მუსულმანი მიღებულ წესით კითხულობს. ვინაიდგან თითოეული მუსულმანი უწმინდესს ენად სთვლის არაბულს, რასაკვირველია, მისი სჯულის პატივისმცემელი ვერ ურჩევს ლოცვები სხვა ენაზე შეისწავლოს... მაგრამ ლოცვებს გარდა მუსულმანური სჯული შეიცავს კიდევ მოთხრობებს მაჰმადის და სხვა მუსულმანთა წმიდანების ცხოვრების შესახებ, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონდეს სჯულის შესწავლის ჟამს... აი ეს, მოთხრობები ქართველმა მუსულმანმა ხოჯამ, ვიმეორებ, ქართულად უნდა ასწავლოს და არა ოსმალურად... სჯული შეიცავს ქადაგებას, მოძღვრებას... აი ეს ქადაგება, ანუ „ვაზი“ ხოჯამ ქართულ ენაზე უნდა აწარმოვოს, და ამ სახით იგი ქართულ ენის გამავრცელებელი უნდა იყოს დღეს კი რას ვხედავთ? ხოჯები ოსმალურად ქადაგებენ, ოსმალურად ასწავლიან სჯულს (მოთხრობებს) და ამ სახით ოსმალურ ენას ავრცელებენ, რითაც ქართულ ენას სახელს უცარავენ. ვხედავთ, არსებობს ორი სკოლა სოფელში: ერთი მთავრობის სკოლა, რომელშიც მეცნიერულ მეთოდებითაა სწავლების საქმე მოწყობილი, ხოლო მეორე კი — მეჩეთთან ჯამეს სკოლა, სადაც ხოჯა, ბევრგან ქართული ენის უცოდინარი (ერთ სოფელში ხოჯად არის სომეხი მუსულმანი, ქართულის არ მცოდნე) მეხანიკურად არაბულს ენაზე ლოცვებს აზეპირებინებს და ოსმალურად ელაპარაკება მოწაფეებს. ხოჯასთან სწავლობს ოცდაათი, ორმოცი მოწაფე, ხოლო მთავრობის სკოლაში,

სადაც ქართული სავალდებულოა, თხუთმეტი ან ოცი... ზოგი ვერ ბედავს გზავნოს სკოლაში ბავშვი, რადგან, თუ ეს ჩაიდინა, ხოჯას სიტყვით, მკვდარი წაუწყდება...

ნუ დაგვავიწყდება, რომ მთავრობის სკოლაში ხოჯა ან მოლა ასწავლის მუსულმანურ სარმრთო სჯულს, რისთვისაც ხაზინიდამ ჯამაგირსაც იღებს. დიდი დაფიქრება არაა საჭირო, თუ სად უფრო ნაკლებ გამოყრუვდება ქართველი მუსულმანი ბავშვი. სკოლაში, სადაც ხელმძღვანელია პედაგოგიკის ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელი, ის სჯულსაც შეისწავლის და სხვა ცოდნასაც შეიძენს ქართულ ენის საშუალებით... არაბული ენა, ასეა თუ ისე უნდა ისწავლოს... ოსმალური ენა-კი მისთვის ზედმეტი ბარგია... ამ უკანასკნელი ენის ბრალი იყო, რომ აქამდის ქართველე მუსულმანები გაურბოდნენ ქართველ ქრისტიანებს და თუ ზოგიერთ ხოჯების მრუდი მიმართულებას, ქართველ მუსულმანთ შორის სწავლა ცოდნის გავრცელების ხელის შემშლელს, ბოლო არ მოეღო, თუ მათ ხოჯებად არ ეყოლებათ ციგაძის მსგავსი ზეგარდმო მადლითცხებული ადამიანები, ყოველივე ღღევანდელი ცდა **ამაო იქნება და არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს.** კვლავ შეუძლია მოჰბეროს ფანატიზმის სიომ და შეაძულოს ქართველ მუსულმანებს თვისი დედაენა და „ქართველობა“ სახელწოდება.

ბ. ჰაიდარბეგ აბაშიძის ჰაზრი ნაადრევი კი არაა, არამედ სწორედ დროს შესაფერია.., ეს **აზრი** განგების მიერ ნაკარნახებია... მასშია ჩამარხული იმ ხის ფესვი, რომელმაც ორი სჯულის ქართველები ერთმანეთს უნდა მყობადში მტკიცედ დაუკავშიროს თუ ხოჯა, ფანატიზმი, ბნელი ძალები ცოდნის გავრცელებას ხელს შეუშლიან, თუ ხოჯა ქართულ ენის მაგივრ დ გაავრცელებს ოსმალურს, ყოველივე, რაც სკოლაში კეთდება, ძირს დაემხობა... თითო ოროლა თუ გადურჩება ხოჯას გავლენას... თითო ოროლა კი წვეთი იქნება ზღვაში... „ვინმე მუსულმანს“ ჩვენი მთავარი აზრი კი ნაადრევად მიაჩნია, თუმცა პრინციპიალურად არ უარჰყოფს და ამით ადასტურებს, რომ ჭეშმარიტს ნიადაგზეა აღმოცენებული. ქართველ მუსულმან ინტელიგენტთა მოვალეობაა დაუახლოვდნენ ხალხს და ფრთხილად გაურკვიონ ის, რაც **არსებითია** სჯულში და რაც **მეორე ხარისხოვანია...** ყოველი ღონე უნდა იღონონ, რომ შენელდის და შესუსტდეს დროებით მათ შორის მაძინებული ფანატიკოსობა, რასაც სჯულის სალს და არსებითს მოთხოვნილებასთან არავითარი საერთო არა აქვსრა—და **ხალხს** კი აბეჩავებს და მის კეთილდღეობას სამარეს უთხრის.

შენი **ჩაქუჩი**

ქართ. დრამ. დასმა „ახალი კლუბის“ სცენაზე (8/I) შუადღისას წარმოადგინა „დაძმა“, ვ. გუნიასი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით მოწაფენი და მოზარდი თაობა. პიესას მომზადება აკლდა, სამარცხვინოდ ზოგმა როლიც კი არ იცოდა: უხერხული პაუზები და მოკარნახის მაღალი ჩურჩული,—ი მათი სიბეჩავის შედეგი. ვერც დამსწრე საზოგადოების ზოგიერთი წევრნი იცავდენ წესს: წარამარა კარის გაღება და სათეატრო დარბაზში შემოსვლა კვლავ გძელდება.— ვერ იქმნ და ჯერ კიდე ვერ შეუგვნია, ვისიც ჯერ არს, რომ სცენა საკურთხეველია,—ამიტომ მუნ მწირველი დიდის მოკრძალებით უნდა მღვდელმსახურებდეს,—ხოლო სასცენო დარბაზი ეკლესიაა, სადაც შემსვლელი მოწიწებით უნდა შედიოდეს, სულგანაბული და ხმა-გაკმენდილი ისმენდეს პიესის მსვლელობას. „ახ. კლ.“ სცენა მდიდარი არ არის, მაგრამ იმდენი სახსარი-კი მოიპოვება, რომ თუ მუნ ქართველი წარმოდგენის მმართველნი გაისარჯნენ, ერთი ხუთად უკეთესად დასდგავენ წარმოდგენას. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ კვირადღეობით ამ წარმოდგენებს მოზარდი თაობა, მოწაფეობა ესწრება, რომელიც სცენიდან წარმოთქმულ უოველ სიტყვას, სცენაზე დანახულ უოველ მოძრაობას—მიმოხვრას ხალას თქრთდ იღებს. აი, რატომაა საჭირო, ქართულ წარმოდგენების მართვა, სადაც უნდა იყოს და

ისთვისაც უნდა იდგმოდეს, უაღრესი ყურადღება მიექცეს. აწინდელ დასში ირიცხებიან ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარაძე, გ. იმხნელი ხანდისხან ვ. გამყრელიძეც, გ. ფრონისპირელი და სხ. და ამათ რო მოინდომონ — განა ქართულ სასცენო ხელოვნების (მიმოხვრას, სახიერებას ხმას, განცდას და სხ.) არ აამაღლებენ და უფრო საყურადღებოს არ შექმნიან?!

საჭიროა, საჭირო მეტი მუყაითობა, მით უმეტეს, რომ ქართველი ხალხი დიდის წყურვილით ეწაფება თეატრის წყაროს.. **უსავანო**

აქეთურ-იქითური

მილიონერები ამერიკაში რომ ჩეჩქივითაა, ეს ვიღამ არ იცის, ხოლო თუ ამოდენი იქნებოდა. ეს შეიძლება ბევრმა არ-კი იცოდეს. ათი წლის განმავლობაში აქ **4315** მილიონერი მომკვდარა ხოლო ამაზე უფრო მეტი ცოცხალია და მილიონების შექმნაში ერთმანეთს ექიშპება გარჯითა და შორს გმოჭვრეტელობით

თევზის გოლიათობა თუ არვის გაუგონია — აწ მოისმინოს: ჰოლანდიელ მეთევზეებს დაუჭერიათ ერთი უზარ-მაზარი თევზი, რომელიც 1500 მანათად შეუფასებიათ.

აბა მსმელიც ასეთი უნდა, აი, რუსეთში რო გამოჩენილა! ამბობენ, პეტროგრადის ერთ ცნობილ ბანკირს საახალწლოდ ოცი დუჟინი შამპანიური უყიდნია, ბოთლი ათ თუმნად, სულ ორი ათას ოთხას თუმნისა (24000 მ.). მართალია, ერთხელ ღვინის სმაში კახელი გლეხი იმერელს გაეჯიბრა, ვინ უფრო ბევრს დალევსო და ერთ ჯერზე ერთი თაბახი (გობი) ღვინო გადაყლაპა, მაგრამ არც რუსის ბანკირი ყოფილა ნაკლები ბიჭი, მფლანგველობით მაინც, თუ ეს შამპანიური თვითონ გადაწრუპა! მოდი და სამართალი ეძიე: ზოგს წყაკლიც ვერ უყიდნია ზოგი-კი.. შამპანიურში ლივლივებს! ჰაი, დედასა!

თვალთმაქცს რომ იტყვიან, სწორედ ეს ვიღაც ბებ-ერი ყოფილა, რომე იც სტოკჰოლმის ერთს ცირკში ყოველ საღამოობით მრავლად შეკრებილ ხალხის წინაშე, მწვეტიან ლურსმებით მოოჭვილ ფიცარზე მთელი ნახევარი საათი ზის და შეექცევა ლურსმებს და ნემსებს, სვამ ნავთს, მელანს, სკიპიდარს, ლოლნის საათს, ლამფის შუშასა და რეზინის ბურთებს ჰყლაპავს. ასეთი „ხელოვნებით“ უმასპინძლდება ხალხს, ხალხი კი... ჰკვირობს და იცინის: რა ენაღვლება-რა, წვეტიან ლურსმებზე თვითონ ხომ არა ზის?!

ძველი გაზეთებით თუ თბილი სახლების აშენება შეიძლბოდა, ვის შეეძლო ეფიქრნა? თურმე ევროპიიდან დიდძალი ნახმარი გაზეთი გააქვთ ჩინეთს, საცა მას დიდი გასავალი აქვს... კედელზე გასაკრავად. ჩინელი ხუროთმოძღვარნი ამტკიცებენ, ევროპიული გაზეთის ქაღალდი შეუდარებელი მასალაა კედლების გასტიხრად, რომ სიცივე აღარ შემოვიდესო. **ჭიტა!**

წვრილი ამბები

ქართულ ფრესკების გამოფენა გაიღოგასულ კვირას, 8/I „დიდების ტაძარში“, ექ. თაყაიშვილის შესავალი სიტყვით. პირველ დღეს, თუმცა შესვლის ფასი თითო მანათი იყო, მაინც დიდძალი საზოგადოება და ხალხი დაესწრო; იყვნენ რუსები, თათრები, სომხები და სხ. დაესწრენ: სახელმწიფო საბჭოს წევრი თავ. კ. ნ. აფხაზი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელნი და სხ. გამოფენა ფრიად საყურადღებოა, როგორც ეროვნულის, ისევე მეცნიერულის თვალსაზრისით, შესასვლელი ფასი 50 კ. (მოწაფეთა—25 კ.). გამოფენა ღიაა დილის 10-4 ს.,

ტრაპიზონის ქართველობას განუზრახავს დააფუძნოს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.

„არშინ მალ-ალანის“ მთარგმნელს ვანო გიგოშვილს განუზრახავს თვის მიერ ნათარგმნი ოპერეტა „ახალი კლუბის“ სცენაზე ორჯერ დასდგას ქართული თეატრის ასაშენებელ ფონდის სასარგებლოდ.

ვაცხადებთ, რომ გასულ კვირის ნომერში მოთავსებულ წერილის „ვისი ან რის ბრალია“-ს ავტორი ყოფილი გაზ. ზვირთის“ ყოფილი არ არის.

ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ გამოწერეს 1) მეჯვრისხევის სამკითხველოს ჯარისკაცმა გიორგი ვას. ახალბედაშვილმა; 2) ხიდისთავის სამკითხველოს გიგო თ. კალანდაძემ თავის განსვენებულ ძმის მასწავ. პ. თ. კალანდაძის სახსოვრად: 3) ნუკრიანის წმ. გიორგის სასწავლებელს აგრაფინა და ისაკო ალხანაშვილებმა, 4) ნაოლალევის სამკითხველოს ნ. ნ. შავდიამ, 5) ნუკრიანის სამკით.—ნ ი. ჩუტლაშვილმა

სოფლელთა ახალგაზდა მწერალთა ჟურნალი „პატანი“ (ჭაბუკი) ხელახლად გამოსვლას იწყებს თებერვლიდან ახალის შევსებულის ძალებით.

ქართულ ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ, კნ. ე. ა. აფხაზის დიასახლისობით და თავ. მ. დ. ჭავჭავაძის გამგებლობით, იანვრის 6 ახ. კლუბში გაიმართა ტრადიციული საღამო, მეტად შინაარსიანი პროგრამით, და 4 განყოფილებათ. დაესწრო დიდძალი საზოგადოება წმინდა შემოსავალი 6000 მანეთამდეა. დაწვრილებით შემდ. გ.

სარჩევი 1916 წ. ჟურ. „თეატრი ცხოვრებისა“ უკვე გამოვიდა. გასული წლის ხელის მომწერთ უფასოდ ურიგდება ამ ნომერთან ერთად. ცალკე გაიყიდება თითო 30 კაპეიკად.

ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ ფონდის სასარგებლოთ მივიღეთ: 1) ნიკ. ივ. ჩუტლაშვილისგან 9 მ. 2) დავ. ივ. მეტრეველისაგან (პეტროგრადიდან)—2 მან, 3) იაკობ შავდიასაგან (გაუდიანიდან)—1 მან. 4) პორფ. გერ. ლლონტისაგან—2 მან.

შემომწირველთ მადლობას ვუძღვნით

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

აკაკის „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები" ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რჩეული აზრები" ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღირს **8** მან. ნახევარის წლით. 4 მან. **50** კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2 **ხელის მოწერა მიიღება**: თბილისში, „სორაპნის" **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба" Іосифу Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ისა და ქართველ ხელოვანთა საზ-ის თაოსნობით „დიდების ტაძარში" (გოლოვინის პროსპექტზე) გაიმართა

ძველ ქართულ საეკლესიო ფრესკების

გ ა მ ო ფ ე ნ ა

გამოფენა გაიღო იანვრის 8, შუადღის 1 ს. ღიაა დილი: 10 საათიდან შუადღის 4 ს-დე შესვლის ფასი—50 კ., მოწაფეები—25. კ.

ხაროფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტზე, № 163)

ერთი კვირის პროგრამა იანვრის 15-22

ორშაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი—სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი—ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი—„არშინ მალ-ალან", ქართულად

შაბათი—რუსული წარმოდგენა

კვირა—სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები—25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოდგენა—კონცერტებისა სად. 8 ნახ. ს.—სინემატოგრაფი—9 ს.

ახალი კლუბი

1 კვირის პროგ. იანვრის 15-22

კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი—საოჯახო საღამო

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ.—საოჯახო საღამო

კვირა—რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. სად. $8^1/_2$ სა. **შესას.** ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.

რედ-გამ. ანნა იმედაშვილისა Дозволено Военной Цензурой სტამბა „სორაპანი"